# თვითმმართველი თემი ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2024-2029

2024

თვითმმართველი თემი ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2024-2029) შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საზოგადოება „ბილიკი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოსსტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

# სარჩევი


შესავალი ..... 4

ზოგადი ინფორმაცია ქარელის მუნიციპალიტეტის შესახებ ..... 5

ქარელის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა ..... 7

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ..... 8

სამოქმედო გეგმა ..... 11

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ..... 21

დანართები ..... 22

დანართი #1 ..... 22

დანართი #2 ..... 25

# შესავალი

საქართველოს დამოუკიდებლობის 33 წლიანი ისტორიის ფონზე, ახალგაზრდული სფერო ჯერ კიდევ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევების მქონე.

ათწლეულების მანძილზე ვერ ხორციელდება ახალგაზრდული პოლიტიკა იმ ძალისხმევით და მოცულობით, რაც გამოიწვევდა ყველა მუნიციპალიტეტის და ახალგაზრდებთან დაკავშირებული უწყებების კოორდინირებულ ჩართულობას. გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდობა არის ქვეყნის მომავალი, შემდგომი ცვლილებების გამომწვევი და მიმღები ,,აგენტი", მნიშვნელოვანია, რომ სფეროს განვითარება დაიგეგმოს სწორად და იყოს კვლევაზე დაფუძნებული, თავად თაობის შეხედულებებსა და სფეროში მოღვაწე ექსპერტების ჩართულობით. 2020 წლიდან დაიწყო მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტების და სამოქმედო გეგმების შემუშავება, დანერგვა და განხორციელება სახელმწიფო თუ საჯარო უწყებების ჩართულებით. ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, „საზოგადოება ბილიკმა" ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობითა და დარგის ექსპერტების ჩართულობით, ორგანიზაციამ მოამზადა ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

წინამდებარე სტრატეგიის დოკუმენტი დაფუძნებულია სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე, რომელიც ა(ა)იპ ,,საზოგადოება ბილიკი"-ს დაკვეთით უშუალოდ განახორციელა ა(ა)იპ ,,ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანება"-მ, 2023 წლის თებერვალ-აპრილის პერიოდში. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, ფოკუს ჯგუფების საშუალებით განხორციელდა ძირითადი საკვლევი საკითხების გამოკვეთა, პრობლემების გამოვლენა და სიღრმისეული კვლევა, ხოლო რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით გაიზომა ის არსებული ყოველდღიური პრობლემები, რაც ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების წინაშე დგას. კვლევის ფარგლებში ასევე განისაზღვრა ის პრიორიტეტები, რაც ახალგაზრდების შეხედულებით, არის ყველაზე მწვავე, მნიშვნელოვანი და საჭიროებს პირველ რიგში ყურადღების მიქცევას.

მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც ქარელის მუნიციპალიტეტებში აწესრიგებს ახალგაზრდულ მუშაობას, განსაზღვრავს ახალგაზრდულ პოლიტიკასთან მიმართებით სხვადასხვა სახის დადგენილებებს, გამოყოფს და აიდენტიფიცირებს იმ

პრიორიტეტებს, რაც კვლევის შედეგების გათვალისწინებით არის მნიშვნელოვანი და აქტუალური ახალგაზრდებისათვის. ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ეფუძნება მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის ეროვნული სტანდარტის დოკუმენტს.[1] წინამდებარე დოკუმენტი მნიშვნელოვანია როგორც მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განსახორციელებლად, ასევე, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორისათვის, ახალგაზრდებთან მიმართებით, მათი სამუშაო გეგმებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.

## ზოგადი ინფორმაცია ქარელის მუნიციპალიტეტის შესახებ

ქარელის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში შიდა ქართლის ვაკეზე. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება გორის, დასავლეთით - ხაშურის, ჩრდილოეთით - ზნაურის და სამხრეთით ბორჯომის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ფართობი – 687,9 კმ² მოსახლეობის რაოდენობა – 41 316 კაცი.[2]

ქარელის მუნიციპალიტეტის ახლანდელი ტერიტორია 1917 წლამდე შედიოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1930 წლიდან კი გორისა და ხაშურის რაიონში, ხოლო 1939 წლიდან ცალკე რაიონად გამოიყო. 1963-64 წწ. ისევ შეუერთეს ამ რაიონებს. 1965 წლიდან კი ცალკე რაიონად ჩამოყალიბდა ახლანდელ საზღვრებში.

ქარელის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ერთი რაიონული ცენტრი, ერთი დაბა და 82 რეგისტრირებული სოფელი, რომელიც გაერთიანებულია 18 ადმინისტრაციულ ერთეულში.

[1] სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს 2021 წლის დადგენილება, იხ. ლინკი - სტანდარტი - MOOC on Youth Policy (youthagency.gov.ge)

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.

ადმინისტრაციული ცენტრია ქარელი, ადმინისტრაციული ერთეულებია: დაბა აგარა, აბისი, ავლევი, ახალსოფელი, ბებნისი, ბრეთი, ბრეძა, გიგანტი, დვანი, დირბი, ხვედურეთი, ზღუდერი, კეხიჯვარი, მოხისი, რუისი, ურბნისი, ფცა.

მთავარი მდინარეებია: მტკვარი, ძამა, დასავლეთ, შუა და აღმოსავლეთი ფრონეები. ქარელის მუნიციპალიტეტში ძირითადად საინვესტიციო პოტენციალის მქონე დარგებია: გადამამუშავებელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარეობს აგარის შაქრის ქარხანა და კვების მრეწველობის საწარმოები. კვების მრეწველობის საწარმოებში გამოსაკვეთია თევზის გადამამუშავებელი საწარმო „უმალი“. ასევე განვითარებულია სასათბურე და არატრადიციული სასოფლო-სამეურნეო მეურნეობები.

სოფლის მეურნების წამყვანი დარგებია: მეხილეობა, მეჭარხლეობა, მებოსტნეობა-მებახჩეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა და სხვა.

აქ გადის ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალი და საავტომობილო გზები.

ქარელი ისტორიულ წყაროებში იხსენიება ადრეული ბრინჯაოს ხანიდან, ხოლო ქარელი, როგორც განვითარებული საქალაქო ცენტრი უკვე XVI-XVII სს. მოიხსენიება. დღევანდელი ქარელის უდიდესი ნაწილი ციციშვილების სათავადოში - “საციციანოში” შედიოდა, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სამხედრო-პოლიტიკური, აღმშენებელი, განმანათლებელი, მეცნიერი და სამედიცინო მოღვაწე, სამკურნალო წიგნი „კარაბადინი“-ს ავტორი: ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი.

ქარელი ცნობილია მრავალი იტორიული ფაქტით: რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1103 წელს, არადეთის ბრძოლა - 1483 წელს და სხვა.

ქარელის მუნიციპალიტეტში 35 სახელმწიფო საჯარო სკოლა და 1 კერძო სკოლა-გიმნაზია, საშუალო პროფესიული სასწავლებელი, 1 ცენტრალური ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმია.

ქარელში მდებარეობს არქიტექტურის და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები: მძოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი, სამწევრისის ეკლესია, ყინწვისის კომპლექსი, ასეულობით მოქმედი ეკლესია-მონასტრები, ისტორიული სოფლები - რუისი და ურბნისი. მდინარე ძამის ხეობაში აღსანიშნავია ქოზიფას, ორხევის, ორთუბნის, ძაძვის სამონასტრო კომპლექსები. ასევე, ბატეთის ულამაზესი ბუნებრივი ტბა, რომელიც ზღვის დონიდან 1313 მ. სიმაღლეზე მდებარეობს.

მდინარე ხვედურულას ხეობაში მდებარეობს ე.წ „წითელი ქვების“ ჩანჩქერი, თრეხვის „ქვაბები“, სადაც აღმოჩენილია ლეონტი მროველისეული ქვაჯვარი, შოთას წყარო და სხვა.

### *ქარელის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მდგომარეობა*

ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა, 41 316 ადამიანს შეადგენს, საიდანაც ახალგაზრდები (14-29 წელი) მოსახლეობის 20% შეადგენს, ხოლო საპენსიო ასაკის მცხოვრები (65 წელი და მეტი) 15.5%.

***ცხრილი #1 - ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჩაშლით[3]***

| | ორივე სქესი | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| **სულ** | **41,316** | **20,410** | **20,906** |
| 0-13 | 7,185 | 3,770 | 3,415 |
| 14-17 | 2,139 | 1,159 | 980 |
| 18-21 | 1,810 | 983 | 827 |
| 22-25 | 2,254 | 1,193 | 1,061 |
| 26-29 | 2,122 | 1,076 | 1,046 |
| 30-36 | 3,627 | 1,791 | 1,836 |
| 37-43 | 3,885 | 1,953 | 1,932 |
| 44-50 | 4,072 | 2,060 | 2,012 |
| 51-59 | 5,461 | 2,671 | 2,790 |
| 60-64 | 2,392 | 1,113 | 1,279 |
| 65+ | 6,369 | 2,641 | 3,728 |

**წყარო:** 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით

დეტალური სტატისტიკური მონაცემები, ადმინისტრაციული ერთეულებისა და გენდერული დანაწილების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ დანართის (დანართი #1) სახით.

გენდერული განაწილების მხრივ მოსახლეობის 49% არის მამაკაცი, ხოლო 51% ქალი. ახალგაზრდებში 53% არის ბიჭი, ხოლო 47% - გოგო. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები არის განსხვავებული ზოგადი ეროვნული გენდერული განაწილების მხრივ, რადგან ქალთა პროცენტული წილი ქვეყნის მასშტაბით მეტია მამაკაცთა პროცენტულ წილზე. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზის საკვლევად საჭიროა

[3] 2014 წლის საყოვლეთაო აღწერის შედეგები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დამატებითი კვლევები, რაც ამ მიმართულებით იქნება საინტერესო თემით დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის.

## სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია ეფუძნება ოთხ ძირითად სტრატეგიულ მიზანსა და ოცდახუთ ამოცანას, რაც ზემოთხსენებულ კვლევაზე დაფუძნებით არის შემუშავებული.

1. **ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება:**
   1.1. სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებითა და/ან საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით;
   1.2. ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შემცირებისკენ მიმართული პროგრამები;
   1.3. ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სათემო და მუნიციპალურ დონეზე;
   1.4. ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა და თანასწორი გარემოს შექმნა, ეთნიკური, სოციალური, გენდერული, ასაკობრივი და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

2. **ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება:**
   2.1. ახალგაზრდული სამოქალაქო სექტორის გაძლიერებისათვის შემუშავდეს მუნიციპალური პროგრამები;
   2.2. შეიქმნას/გაძლიერდეს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი;
   2.3.მოეწყოს თემებში ახალგაზრდული სივრცეები, სპორტული მოედნები და რეკრეაციული ზონები;
   2.4. მოხდეს ბიუჯეტის გამოყოფა საინიციატივო ჯგუფების და კლუბების მხარდასაჭერად;
   2.5. გაიხსნას მუნიციპალური ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც აღიჭურვება მედიათეკისა და კულტურულ-შემეცნებითი აქტივობებისათვის საჭირო ინვენტარით;
   2.6. მოხდეს მოხალისეობის პოპულარიზაცია და წახალისება მუნიციპალიტეტის მხრიდან.

3. **ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება:**
   3.1. ახალგაზრდების პიროვნული ზრდისა და განვითარებისთვის დაინერგოს არაფორმალური განათლების პროგრამები;
   3.2. გაიზარდოს ახალგაზრდებთან შეხვედრები მუნიციპალურ პოლიტიკაში მათი ჩართულობის გასაზრდელად;
   3.3. ჩატარდეს ახალგაზრდების უფლებების გაცნობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები;
   3.4. გაიზარდოს ახალგაზრდების ინფორმაცია საერთაშორისო და სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
   3.5. მიეწოდოთ ახალგაზრდებს ინფორმაცია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესახებ;
   3.6. მოხდეს ახალგაზრდებთან ცნობიერების ამაღლება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მასში მონაწილეობის შესახებ;
   3.7. გაიზარდოს ცნობიერება მოხალისეობის და მოხალისეობრივი პროგრამების შესახებ.

4. **ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი პირობების შექმნა**
   4.1. განისაზღვროს ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობისთვის პროგრამა ქარელის მუნიციპალიტეტში;
   4.2. მოხდეს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სათემო და მუნიციპალურ დონეზე;
   4.3. ჯანსაღი ცხოვრების წახალისების მიზნით, მოეწყოს სპორტული, გასართობი და შემეცნებითი აქტივობები;
   4.4. მოხდეს ახალგაზრდების ინფორმირება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და გაიზარდოს ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემაზე წვდომა;
   4.5. მოხდეს ნარკოტიკული და ჰალუცინოგენური ნივთიერებების მოხმარების უარყოფით გავლენაზე საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო ასაკის ახალგაზრდებთან;
   4.6. მოეწყოს ველობილიკები ქალაქის ტერიტორიაზე, გათვალისწინებული იქნას ინკლუზიურობა და ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

# სამოქმედო გეგმა

**ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება:**

| ამოცანა | შესრულ ების პერიოდი | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი ორგანო/პირი/ ორგანზიაცია | მიღწეული შედეგი |
|---|---|---|---|---|
| 1.1. სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებითა და/ან საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობით; | 2029 | შექმნილი სხვადასხვა დასაქმების პროგრამები მუნიციპალიტეტი სა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით. | • ქარელის მუნიციპალიტ ეტის მერია<br>• ახალგაზრდობი ს სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | • მუნიციპალიტეტმა დააფინანსა მინიმუმ 5 პროექტი, სადაც დასაქმდა მინიმუმ 20 ახალგაზრდა;<br>• მუნიციპალიტეტში განხორციელდა მინიმუმ ერთი საერთაშორისო პროგრამა, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების დასაქმებას. |
| 1.2. ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შემცირებისკენ მიმართული პროგრამები; | 2029 | ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა დასაქმების ფორუმებსა და პროფესიული | • ქარელის მუნიციპალიტ ეტის მერია<br>• ახალგაზრდობი ს სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | • ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისათვის საჭირო კომპენტენციები. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გადამზადების პროგრამებში | | |
| 1.3. ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სათემო და მუნიციპალურ დონეზე; | 2029 | ახალგაზრდები არიან ინფორმირებულები თანადაფინანსების პროგრამების და შესაძლებლობების შესახებ | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | • შექმნილი ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო;<br>• მერიამ დააფინანსა ხუთი სხვადასხვა ინიციატივა ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად. |
| 1.4. ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა და თანასწორი გარემოს შექმნა, ეთნიკური, სოციალური, გენდერული, ასაკობრივი და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ. | 2029 | ახალგაზრდების ცნობიერება ამაღლებულია ადამიანის უფლებების შესახებ | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | • ქარელის მუნიციპალიტეტში დაცული ახალგაზრდების უფლებები;<br>• ახალგაზრდებმა იციან ადამიანის უფლებების შესახებ. |

**ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება:**

| ამოცანა | შესრულ ების პერიოდი | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი ორგანო/პირი/ ორგანზიაცია | მიღწეული შედეგი |
|---|---|---|---|---|
| 2.1. ახალგაზრდული სამოქალაქო სექტორის გაძლიერებისათვის შემუშავდეს მუნიციპალური პროგრამები; | 2029 | მუნიციპალიტეტში გაზრდილია თანადაფინანსების პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | მუნიციპალიტეტს გააჩნია ახალგაზრდული მიმართულებით თანადაფინანსების პროგრამა. |
| 2.2. შეიქმნას/გაძლიერდეს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი; | 2029 | გაზრდილია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ მუშაკთა რაოდენობა და მხარდაჭერილია მათი საქმიანობა | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი მხარდაჭერილია. |
| 2.3. მოეწყოს თემებში ახალგაზრდული სივრცეები, სპორტული მოედნები და რეკრეაციული ზონები; | 2029 | გაზრდილია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სივრცეების, სკვერების, სპორტული | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | შექმნილია მინიმუმ 3-3 ახალი სპორტული, ახალგაზრდული, რეკრეაციული ზონები ქარელის მუნიციპალიტეტში. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მოედნებისა და რეკრეაციული ზონების რაოდენობა. | | |
| 2.4. მოხდეს ბიუჯეტის გამოყოფა საინიციატივო ჯგუფების და კლუბების მხარდასაჭერად; | 2029 | გაზრდილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სპორტის, კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულებით. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | დაფინანსებულია მინიმუმ 15 სხვადასხვა სახის პროექტი. |
| 2.5. გაიხსნას მუნიციპალური ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც აღიჭურვება მედიათეკისა და კულტურულ-შემეცნებითი აქტივობებისათვის საჭირო ინვენტარით; | 2029 | გაზრდილია ახალგაზრდული სივრცეების რაოდენობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | გაიხსნა და აღიჭურვა მინიმუმ 3 ახალგაზრდული სივრცე ქარელის მუნიციპალიტეტში. |
| 2.6. მოხდეს მოხალისეობის პოპულარიზაცია და წახალისება მუნიციპალიტეტის მხრიდან; | 2029 | ახალგაზრდებმა იციან მოხალისეობის და მოხალისის | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო | მხარდაჭერილია მოხალისეობის პროგრამა და კულტურა მუნიციპალიტეტის მხრიდან. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | უფლებების შესახებ. | • სამოქალაქო სექტორი | |

**ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება:**

| ამოცანა | შესრულ ების პერიოდი | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი ორგანო/პირი/ ორგანზიაცია | მიღწეული შედეგი |
|---|---|---|---|---|
| 1.1. ახალგაზრდების პიროვნული ზრდისა და განვითარებისთვის დაინერგოს არაფორმალური განათლების პროგრამები; | 2029 | • გაზრდილია არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა;<br>• გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში; | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | შექმნილია ახალგაზრდების განვითარებისთვის მუნიციპალური პროგრამები და სტრატეგია. |
| 1.2. გაიზარდოს ახალგაზრდებთან შეხვედრები მუნიციპალურ პოლიტიკაში მათი ჩართულობის გასაზრდელად; | 2029 | გაზრდილია ახალგაზრდების მონაწილეობა თვითმმართველობაში. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო | ახალგაზრდები ჩართული არიან თვითმმართველობაში; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | • სამოქალაქო სექტორი | |
| 1.3. ჩატარდეს ახალგაზრდების უფლებების გაცნობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები; | 2029 | ახალგაზრდებმა იციან საკუთარი და სხვების საბაზისო უფლებების და მისი დაცვის შესახებ. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდების 60% შეუძლია საკუთარი უფლებების გამოხატვა და დაცვა; |
| 1.4. გაიზარდოს ახალგაზრდების ინფორმაცია საერთაშორისო და სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; | 2029 | ახალგაზრდები ერთვებიან საგანმანათლებლო გამოფენებში და ესწრებიან საინფორმაციო შეხვედრებს. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდებმა იციან სხვადასხვა საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების შესახებ. |
| 1.5. მიეწოდოთ ახალგაზრდებს ინფორმაცია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესახებ; | 2029 | გაზრდილია შეხვედრების რაოდენობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესახებ. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდებმა იციან გაეროს მდგრადი მიზნების შესახებ. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.6. მოხდეს ახალგაზრდებთან ცნობიერების ამაღლება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მასში მონაწილეობის შესახებ; | 2029 | გაზრდილია ახალგაზრდების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდებმა იციან სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების შესახებ. |
| 1.7. გაიზარდოს ცნობიერება მოხალისეობის და მოხალისეობრივი პროგრამების შესახებ; | 2029 | • ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა მოხალისეობის შესახებ;<br>• მუნიციპალიტეტში გაზრდილია მოხალისეობრივი საქმიანობები; | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | მუნიციპალიტეტს გააჩნია მოხალისეთა ბაზა და აქვს მათთან კომუნიკაცია. |

ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი პირობების შექმნა

| ამოცანა | შესრულ ების პერიოდი | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი ორგანო/პირი/ ორგანზიაცია | მიღწეული შედეგი |
|---|---|---|---|---|
| 4.1. განისაზღვროს ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობისთვის პროგრამა ქარელის მუნიციპალიტეტში; | 2029 | ახალგაზრდები ინფორმირებულე ბი არიან ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით | • ქარელის მუნიციპალიტე ტის მერია<br>• ახალგაზრდობი ს სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდების 50% ინფორმირებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. |
| 4.2. მოხდეს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სათემო და მუნიციპალურ დონეზე; | 2029 | • სხვადასხვა სპორტული, ღია და დახურული ინფრასტრუქტ ურა მოწყობილია, მათ შორის ველო ბილიკები;<br>• სპორტული ღონისძიებების რაოდენობა და | • ქარელის მუნიციპალიტე ტის მერია<br>• ახალგაზრდობი ს სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ჯანსაღი და ხელმისაწვდომი გართობის/სავარჯიშო ინფრასტრუქტურა მოწყობილია. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მათში ახალგაზრდების ჩართულობა გაზრდილია | | |
| 4.3. ჯანსაღი ცხოვრების წახალისების მიზნით, მოეწყოს სპორტული, გასართობი და შემეცნებითი აქტივობები; | 2029 | • გაზრდილია სპორტული ღონისძიებების რაოდენობა მუნიციპალიტეტში;<br>• გაზრდილია კულტურული და გასართობი ღონისძიებები რაოდენობა მუნიციპალიტეტში; | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ტარდება რეგულარულად მუნიციპალური სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები. |
| 4.4. მოხდეს ახალგაზრდების ინფორმირება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და გაიზარდოს ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემაზე წვდომა; | 2029 | ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდების 50% იცის რეპროდუქციულ ჯანმრთელობის შესახებ და გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.5. მოხდეს ნარკოტიკული და ჰალუცინოგენური ნივთიერებების მოხმარების უარყოფით გავლენაზე საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო ასაკის ახალგაზრდებთან; | 2029 | ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან ნარკოტიკული და ჰალუცინოგენური ნივთიერებების მოხმარების უარყოფით გავლენაზე. | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ახალგაზრდების 50% იცის ნარკოტიკული და ჰალუცინოგენური ნივთიერებების მოხმარების ნეგატიური გავლენის შესახებ. |
| 4.6. მოეწყოს ველობილიკები ქალაქის ტერიტორიაზე, გათვალისწინებული იყოს ინკლუზიურობა და ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა; | 2029 | ახალგაზრდებმა იციან ინკლუზიური გარემოს და უსაფრთხო გადაადგილების შესახებ; | • ქარელის მუნიციპალიტეტის მერია<br>• ახალგაზრდობის სააგენტო<br>• სამოქალაქო სექტორი | ქალაქში მოწყობილია ველობილიკები და საფეხმავლო ბილიკები ადაპტირებულია. |

## სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

ქარელის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს მერიაში არსებული შესაბამისი სამსახური, მომიჯნავე განყოფილებებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობით.

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთხელ, დეკემბრის თვეში შესაბამისი სამსახურის გადაწყვეტილების და შეთანხმების საფუძველზე, სადაც მერიის შესაბამისი პასუხიმგებელი სამსახური წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების მიმდინარე პროცესის ანგარიშს. ასევე, შესაძლებელია დამატებით შუალედური ანგარიშის სახით ივლისი-აგვისტოს პერიოდში შუალედური ანგარიშის წარდგენა. შეხვედრაზე, განიხილება შემდეგი საკითხები: კონკრეტულ პერიოდში შესრულებული სამუშაო, ხელთ არსებული  რესურსები, პრობლემები, გამოწვევები, მიღწეული შედეგები, საჭირო რესურსები შემდგომი განვითარების მიზნით.

გამჭვირვალეობის მიზნით, მნიშვნელოვანია ანგარიშის წარდგენა მოხდეს საჯაროდ და მას ესწრებოდნენ ახალგაზრდები, სამოქალაქო სექტორის, მედია და მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენლები.

# დანართები

## *დანართი #1*

**მოსახლეობის რიცხოვნობა ქარელის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების**
(2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით)

(კაცი)

| | ორივე სქესი | | | | კაცი | | | | ქალი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სულ** | 0-14 | 15-64 | 65+ | **სულ** | 0-14 | 15-64 | 65+ | **სულ** | 0-14 | 15-64 | 65+ |
| **ქარელის მუნიციპალიტეტი** | **41,316** | **7,674** | **27,273** | **6,369** | **20,410** | **4,019** | **13,750** | **2,641** | **20,906** | **3,655** | **13,523** | **3,728** |
| **ქ. ქარელი** | **6,654** | **1,418** | **4,405** | **831** | **3,203** | **741** | **2,117** | **345** | **3,451** | **677** | **2,288** | **486** |
| **დაბა აგარის ტერიტორიული ორგანო** | **5,723** | **1,173** | **3,844** | **706** | **2,758** | **629** | **1,875** | **254** | **2,965** | **544** | **1,969** | **452** |
| **დაბა აგარა** | **3,364** | **720** | **2,280** | **364** | **1,607** | **390** | **1,093** | **124** | **1,757** | **330** | **1,187** | **240** |
| ქვენატკოცა | 2,359 | 453 | 1,564 | 342 | 1,151 | 239 | 782 | 130 | 1,208 | 214 | 782 | 212 |
| **აბისის თემი** | **1,048** | **155** | **706** | **187** | **524** | **90** | **357** | **77** | **524** | **65** | **349** | **110** |
| აბისი | 399 | 60 | 263 | 76 | 212 | 42 | 135 | 35 | 187 | 18 | 128 | 41 |
| აბისისთავი | 138 | 18 | 95 | 25 | 62 | ... | 49 | ... | 76 | ... | 46 | 20 |
| ბერძენაული | 511 | 77 | 348 | 86 | 250 | 40 | 173 | 37 | 261 | 37 | 175 | 49 |
| **ავლევის თემი** | **933** | **122** | **590** | **221** | **473** | **65** | **311** | **97** | **460** | **57** | **279** | **124** |
| ავლევი | 349 | 45 | 213 | 91 | 176 | 27 | 107 | 42 | 173 | 18 | 106 | 49 |
| კნოლევი | 244 | 29 | 164 | 51 | 122 | 15 | 87 | 20 | 122 | 14 | 77 | 31 |
| ცერონისი | 340 | 48 | 213 | 79 | 175 | 23 | 117 | 35 | 165 | 25 | 96 | 44 |
| **ახალსოფლის თემი** | **764** | **153** | **481** | **130** | **407** | **87** | **256** | **64** | **357** | **66** | **225** | **66** |
| ახალსოფელი | 750 | 153 | 470 | 127 | 398 | 87 | 249 | 62 | 352 | 66 | 221 | 65 |
| კუდა ტყე | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ოქროსოფელი | ... | 0 | ... | ... | ... | 0 | ... | ... | ... | 0 | ... | 0 |
| სუქითი | ... | 0 | 0 | ... | ... | 0 | 0 | ... | ... | 0 | 0 | ... |
| ჯაგარაანთკარი | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **ზებნისის თემი** | **1,470** | **303** | **978** | **189** | **723** | **161** | **498** | **64** | **747** | **142** | **480** | **125** |
| ზებნისი | 1,251 | 272 | 847 | 132 | 618 | 144 | 431 | 43 | 633 | 128 | 416 | 89 |
| აფნისი | 29 | ... | 16 | 11 | 13 | ... | ... | ... | 16 | ... | ... | ... |
| ლეთეთი | 190 | 29 | 115 | 46 | 92 | 16 | 60 | 16 | 98 | 13 | 55 | 30 |
| **ზრეთის თემი** | **2,450** | **419** | **1,630** | **401** | **1,243** | **231** | **834** | **178** | **1,207** | **188** | **796** | **223** |
| ზრეთი | 899 | 132 | 605 | 162 | 455 | 70 | 310 | 75 | 444 | 62 | 295 | 87 |
| არადეთი | 432 | 78 | 286 | 68 | 213 | 39 | 148 | 26 | 219 | 39 | 138 | 42 |
| დოღლაური | 75 | ... | 58 | ... | 43 | ... | 33 | ... | 32 | ... | 25 | ... |
| საღოლაშენი | 452 | 100 | 289 | 63 | 234 | 63 | 147 | 24 | 218 | 37 | 142 | 39 |
| წვერი | 592 | 99 | 392 | 101 | 298 | 52 | 196 | 50 | 294 | 47 | 196 | 51 |
| **ბრეძის თემი** | **1,674** | **210** | **1,089** | **375** | **831** | **110** | **571** | **150** | **843** | **100** | **518** | **225** |
| ბრეძა | 496 | 41 | 317 | 138 | 253 | 23 | 174 | 56 | 243 | 18 | 143 | 82 |
| აბანო | 239 | 45 | 146 | 48 | 113 | 19 | 73 | 21 | 126 | 26 | 73 | 27 |
| ატოცი | 239 | 40 | 151 | 48 | 118 | 21 | 78 | 19 | 121 | 19 | 73 | 29 |
| გულიკაანთუბანი | 100 | ... | 68 | 26 | 55 | ... | 41 | 11 | 45 | ... | 27 | 15 |
| კოდა | 181 | 24 | 121 | 36 | 88 | 13 | 62 | 13 | 93 | 11 | 59 | 23 |
| საციხური | 313 | 43 | 217 | 53 | 150 | 25 | 106 | 19 | 163 | 18 | 111 | 34 |
| ჭვრინისი | 106 | 11 | 69 | 26 | 54 | ... | 37 | 11 | 52 | ... | 32 | 15 |
| **გიგანტის თემი** | **1,514** | **326** | **974** | **214** | **762** | **179** | **496** | **87** | **752** | **147** | **478** | **127** |
| ბრეთის მეურნეობა | 422 | 93 | 267 | 62 | 204 | 49 | 130 | 25 | 218 | 44 | 137 | 37 |
| სასირეთი | 304 | 57 | 204 | 43 | 164 | 39 | 108 | 17 | 140 | 18 | 96 | 26 |
| ძლევიჯვარი | 788 | 176 | 503 | 109 | 394 | 91 | 258 | 45 | 394 | 85 | 245 | 64 |
| **დვანის თემი** | **1,221** | **201** | **821** | **199** | **592** | **91** | **419** | **82** | **629** | **110** | **402** | **117** |
| დვანი | 763 | 118 | 504 | 141 | 374 | 57 | 258 | 59 | 389 | 61 | 246 | 82 |
| ტახტისძირი | 458 | 83 | 317 | 58 | 218 | 34 | 161 | 23 | 240 | 49 | 156 | 35 |
| **სოფელი დირბი** | **2,569** | **464** | **1,720** | **385** | **1,305** | **240** | **898** | **167** | **1,264** | **224** | **822** | **218** |
| დირბი | 2,569 | 464 | 1,720 | 385 | 1,305 | 240 | 898 | 167 | 1,264 | 224 | 822 | 218 |
| **ზემო ხვედურეთის თემი** | **2,922** | **529** | **1,881** | **512** | **1,431** | **273** | **945** | **213** | **1,491** | **256** | **936** | **299** |
| ზემო ხვედურეთი | 1,188 | 235 | 765 | 188 | 575 | 120 | 389 | 66 | 613 | 115 | 376 | 122 |
| თრეხვი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მეხეთი | ... | 0 | 0 | ... | ... | 0 | 0 | ... | ... | 0 | 0 | ... |
| ტყემალა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ქვემო ხვედურეთი | 941 | 184 | 608 | 149 | 460 | 95 | 296 | 69 | 481 | 89 | 312 | 80 |
| ქვენაფლავი | 146 | 24 | 86 | 36 | 71 | 12 | 47 | 12 | 75 | 12 | 39 | 24 |
| ღვლევი | 190 | 22 | 128 | 40 | 92 | ... | 61 | 21 | 98 | 12 | 67 | 19 |
| ჭანდრეში | 276 | 37 | 172 | 67 | 145 | 20 | 96 | 29 | 131 | 17 | 76 | 38 |
| ხეობა | 179 | 27 | 122 | 30 | 87 | 16 | 56 | 15 | 92 | 11 | 66 | 15 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ზღუდრის თემი** | **799** | **105** | **488** | **206** | **405** | **58** | **271** | **76** | **394** | **47** | **217** | **130** |
| ზღუდერი | 210 | 39 | 111 | 60 | 103 | 22 | 56 | 25 | 107 | 17 | 55 | 35 |
| აბუხალო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არცევი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბანი | ... | 0 | ... | ... | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | 0 | ... |
| ბატიური | ... | 0 | 0 | ... | 0 | 0 | 0 | 0 | ... | 0 | 0 | ... |
| გვერძინეთი | 92 | 16 | 68 | ... | 49 | ... | 37 | ... | 43 | ... | 31 | ... |
| ელბაქიანთ კარი | 68 | ... | 34 | 31 | 39 | ... | 24 | 13 | 29 | ... | ... | 18 |
| ველისციხე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| იმერხევი | 28 | 0 | 17 | 11 | 15 | 0 | 11 | ... | 13 | 0 | ... | ... |
| კოდმანი | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოშკინეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მუხილეთი | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ორბელი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ორთუბანი | 72 | ... | 45 | 21 | 28 | ... | 19 | ... | 44 | ... | 26 | 14 |
| სათერძე | ... | 0 | ... | ... | ... | 0 | ... | ... | ... | 0 | ... | 0 |
| სუქანაანთ უბანი | 62 | ... | 36 | 18 | 28 | ... | 15 | ... | 34 | ... | 21 | ... |
| ტყემლოვანა | 11 | 0 | 11 | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 |
| ქვათეთრი | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ყინწვისი | 205 | 26 | 131 | 48 | 100 | 15 | 72 | 13 | 105 | 11 | 59 | 35 |
| ძაძვის მონასტერი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| წიფლოვანა | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | ... | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| წითელი სოფელი | 26 | ... | 13 | ... | 11 | ... | ... | ... | 15 | ... | ... | ... |
| **კეხიჯვრის თემი** | **2,107** | **424** | **1,338** | **345** | **1,029** | **212** | **666** | **151** | **1,078** | **212** | **672** | **194** |
| კეხიჯვარი | 919 | 183 | 583 | 153 | 457 | 101 | 293 | 63 | 462 | 82 | 290 | 90 |
| ვედრება | 182 | 28 | 127 | 27 | 83 | ... | 66 | 11 | 99 | 22 | 61 | 16 |
| თათანაანთუბანი | 166 | 31 | 106 | 29 | 83 | 15 | 55 | 13 | 83 | 16 | 51 | 16 |
| კლდუ | 20 | ... | 12 | ... | ... | ... | ... | ... | 12 | ... | ... | ... |
| კრობანი | 39 | ... | 18 | 11 | 18 | ... | ... | ... | 21 | ... | ... | ... |
| სამწევრისი | 360 | 84 | 230 | 46 | 169 | 43 | 107 | 19 | 191 | 41 | 123 | 27 |
| სანებელი | 201 | 39 | 120 | 42 | 104 | 18 | 63 | 23 | 97 | 21 | 57 | 19 |
| ქობესაანთ უბანი | 220 | 47 | 142 | 31 | 107 | 24 | 69 | 14 | 113 | 23 | 73 | 17 |
| **მოხისის თემი** | **1,573** | **259** | **1,026** | **288** | **793** | **117** | **552** | **124** | **780** | **142** | **474** | **164** |
| მოხისი | 1,296 | 208 | 849 | 239 | 652 | 93 | 457 | 102 | 644 | 115 | 392 | 137 |
| ზემო შაქშაქეთი | 127 | 24 | 81 | 22 | 61 | ... | 43 | ... | 66 | 15 | 38 | 13 |
| კოდა | 150 | 27 | 96 | 27 | 80 | 15 | 52 | 13 | 70 | 12 | 44 | 14 |
| **სოფელი რუისი** | **5,139** | **933** | **3,493** | **713** | **2,588** | **509** | **1,759** | **320** | **2,551** | **424** | **1,734** | **393** |
| რუისი | 5,139 | 933 | 3,493 | 713 | 2,588 | 509 | 1,759 | 320 | 2,551 | 424 | 1,734 | 393 |
| **სოფელი ურბნისი** | **1,109** | **191** | **739** | **179** | **537** | **86** | **376** | **75** | **572** | **105** | **363** | **104** |
| ურბნისი | 1,109 | 191 | 739 | 179 | 537 | 86 | 376 | 75 | 572 | 105 | 363 | 104 |
| **ფცის თემი** | **1,647** | **289** | **1,070** | **288** | **806** | **140** | **549** | **117** | **841** | **149** | **521** | **171** |
| ფცა | 853 | 154 | 539 | 160 | 408 | 68 | 274 | 66 | 445 | 86 | 265 | 94 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თამარაშენი | 401 | 60 | 270 | 71 | 194 | 31 | 137 | 26 | 207 | 29 | 133 | 45 |
| ქვემო შაქშაქეთი | 271 | 62 | 184 | 25 | 139 | 33 | 97 | ... | 132 | 29 | 87 | 16 |
| ღოღეთი | 122 | 13 | 77 | 32 | 65 | ... | 41 | 16 | 57 | ... | 36 | 16 |

... შემთხვევათა
რაოდენობა არ
აღემატება 10-ს
**წყარო:** 2014 წლის მოსახლეობის
საყოველთაო აღწერის შედეგებით

*დანართი #2*

დიაგრამა #1




დიაგრამა #2


გთხოვთ, მითხრათ, სად ატარებთ თავისუფალი დროის ყველაზე დიდ ნაწილს?
12%
1%
48%
9%
1%
18%
0%
11%
სპორტულ მოედანზე;
გასართობ ცენტრებში;
მეგობრების წრეში;
კომპიუტერთან;
ტელევიზორთან;
საშინაო საქმეებზე ვხარჯავ;
7.00
88.00

დიაგრამა #3


გთხოვთ, დაალაგოთ თქვენი ინტერესები ყველაზე საინტერესოდან ნაკლებად საინტერესომდე?
ᲡQ7a
სპორტი 14%
განათლება/მეცნიერება/რაღაცეების... 12%
კითხვა 10%
სიმღერა/მუსიკა 9%
ცეკვა 7%
ფილმები 6%
კულინარია 5%
ხატვა 5%
გართობა 5%
კომპ.თამაშები 4%
ხელსაქმე 4%
მოგზაურობა/ლაშქობა 3%
21.00 2%
ვიზაჟისტობა/სტილისტობა 2%
ინჟინერია/ავტომექანიკა/მანქანები/ავ... 2%
დიზაინი 2%
არქიტექტურა 1%
ლექსების წერა/სიმღერების/ჩანახატების 1%
მსახიობობა 1%
უარი პასუხზე 1%
სხვა 1%
ᲯᲐᲠᲘ 1%
არ ვიცი 1%
პროფ განათლება/ ხელობები 1%

დიაგრამა #4


რა სახის პრობლემები დგას ყველაზე მწვავედ თქვენს მუნიციპალიტეტში?
$Q8a
დასაქმების პრობლემები; 15%
ახალგაზრდული პროგრამების... 13%
სკვერების მოუწესრიგებლობა; 13%
განსხვავებული სპორტული წრეების... 7%
ტრანსორტის მოძრაობის განრიგი; 7%
ველობილიკების არ ქონა; 5%
არაფორმალური განათლების... 5%
ბიბლიოთეკის პრობლემა; 4%
სასკოლო ინფრასტრუქტურის; 3%
ინოვაციურ ტექნოლოგიებზე... 3%
თვითმმართველობაში... 2%
მედიათეკის არარსებობა; 2%
ინფორმაციაზე წვდომის; 1%
ინტერნეტის ხელმისაწვდომობა; 1%
არავითარი პრობლემა არაა; 1%

დიაგრამა #5


რა სახის პრობლემები დგას ყველაზე მწვავედ თქვენს მუნიციპალიტეტში?
$Q8a
დასაქმების პრობლემები; 15%
ახალგაზრდული პროგრამების... 13%
სკვერების მოუწესრიგებლობა; 13%
განსხვავებული სპორტული წრეების... 7%
ტრანსორტის მოძრაობის განრიგი; 7%
ველობილიკების არ ქონა; 5%
არაფორმალური განათლების... 5%
ბიბლიოთეკის პრობლემა; 4%
სასკოლო ინფრასტრუქტურის; 3%
ინოვაციურ ტექნოლოგიებზე... 3%
თვითმმართველობაში... 2%
მედიათეკის არარსებობა; 2%
ინფორმაციაზე წვდომის; 1%
ინტერნეტის ხელმისაწვდომობა; 1%
არავითარი პრობლემა არაა; 1%

დიაგრამა #6


რის გაკეთებას ისურვებდით თქვენს თემში მუნიციპალიტეტისგან, თქვენი ინტერესების შესაბამისად.
$Q9a
შესაკრები სივრცე 15%
გასართობი სივრცე 12%
სტადიონები/ სპორტ... 10%
ინფრასტრუქტურის მოწესრიგება 8%
არაფორმალური... 6%
სხვადასხვა... 6%
დასაქმების ხელშეწყობა 6%
არ ვიცი 5%
გზების და ტრანსპორტის მოწესრიგება 5%
საგანმანათლებლო დაწესებყულებიუს... 2%
სპორტ.აქტივობები 2%
გარემოს დაცვითი პროგრამები 2%
აფთიაქი 2%
ცხოველთა თავშესაფარი 1%
კინოთეტრი 1%
საწარმოების გახსნა 1%
სხვა 0%

დიაგრამა #7




დიაგრამა #8



დიაგრამა #9


გთხოვთ დამისახელოთ ეს ინტერესის სფეროები
$Q14.1a
წრეები 16%
სპორტი 16%
ვიზაჟისტობა/სტილისტობა 10%
მეცნიერება 8%
გასართობი სივრცე/შესაკრებელი 8%
აიტი 8%
ხატვა 6%
სასკოლო აქტივობები 5%
ხელსაქმე(კერვა,ქარგვა,ქსოვა) 3%
დიზაინი/გრაფ.დიზაინი 3%
ისტორია 3%
ცურვა 3%
სხვა 2%
ჯარი 2%
ოქრომჭედლობა 2%
მედიცინა 2%
უცხო ენები 2%
ვიდეოედითინგი 2%

დიაგრამა #10




დიაგრამა #11



დიაგრამა #12


რა გსურთ, რომ მუნიციპალიტეტმა გააკეთოს თქვენს თემში/ქალაქში?
$Q18.1a
ახალგაზრდული კლუბების...
15.2%
ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა;
14.9%
სკევრების/რეკრეაციული ზონების...
14.5%
არაფორმალური განათლების...
12.3%
სპორტული წრეების დამატება;
10.7%
ინფრასტრუქტურული სამუშაოები;
6.1%
გამწვანების აქციები;
4.8%
ტრენინგები ახალგაზრდებისათვის;
4.4%
საჯარო დისკუსიები და ფორუმები;
3.8%
ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა;
3.4%
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
2.9%
სასკოლო ინფრასტრუქტურის...
2.5%
მოხალისეობის ხელშეწყობა;
2.5%
სამკითხველო დარბაზის...
1.8%
სხვა
.3%